

რედაქცია იერონიმოვი
ნიკოლოზის ძეგლი, თბილისი

გაზეთის დასაბამად
და განცხადებათა დასაბამად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა
გამორც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ., მეოთხეზე—8 კაპ.

„ივერის“ ტელეფონი № 227.

ივერის

სამშაბათი, 6 ნოემბერი, 1901 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	სა. კ.	თვე	მან. კ.
12.	10 —	6	6 —
11.	9 50	5	5 50
10.	8 75	4	4 75
9.	8 —	3	3 50
8.	7 25	2	2 75
7.	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერის“ ტელეფონი № 227.

ტეფისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასო).

მიხეილ გადევიანი კერძო სამკურნალო, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი იგნაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ბელაფონი № 274. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

3. ი. შინაგანი—კბილის სნეულეობანი, 8—10 საათ.

მიხეილ გადევიანი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ქ. გ. ფადროვი შინაგან და ბავშვებისა, 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ბ. ა. მუხომანი—ყურისა, ყელი-სა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალაშვილი—კბილის სნეულეობანი, 10—12 საათ.

ბ. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

მედიკალი მ. ს. ბაშკაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გადევიანი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

ბ. გ. ბარსუკი—დედათა სნეულეობანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ს. ა. მონი—ხირურგიული (სადოსტატიკო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

ი. დ. გვებავაძე სიფილისისა, კანისა და საშარდისი, 1 1/2—2 ს.

ს ა დ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუხანი—დედათა სნეულეობანი, 5—6 საათ.

კ ვ ი რ ა ო ზ ი თ:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ინჟინერი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოს: 1) მანქანების გამოკვლევა; ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა; 2) წყლის გამოყენების სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზის სადავო საქმეებში; 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეს.

ნახვა შეიძლება ყოველ-დღე 4—6 საათ, ადრესი: Георгиевская площадь, № 32. (8—3)

„ქართვალთა შორის წერა-კითხვის გაშ. საზოგადოების“ გამგებობა ამით აცხადებს, რომ კვირას, ნოემბრის 4 დღესა, დილის 11 საათზედ, სათავად აზნაურო საადგილმამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საზოგადოებრივი კრება
განსაგრძობად 28 ოქტომბრის საზოგადოებრივი კრებისა.

- განხილულ უნდა იქმნას:
- 1) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1901 წლისათვის.
 - 2) არჩევანი გამგებების წევრთა და თავმჯდომარისა.
 - 3) არჩევანი სარევიზო კომისიის წევრთა და
 - 4) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—უ.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

მედიკალი ნავასარდიანისა

ქუჩაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ზ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 ს.

სადოსტატიკო, გენერალური (სიფილისი) და საშარდის ავადმყოფობანი.

მ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ.

სნეულეობანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანი, დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. შაქიშვილი, 12—1 საათ.

ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. პ. ანაბაძე, 1—1 1/2 ს.

შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა დ ა მ ო ზ ი თ:

ბ. ნ. როსტომიძე, 5—6 ს.

საქირურგო და კანისა.

ბ. ნ. შაქოვანი, 6—7 ს.

ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი, შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7 1/2 ს.

ს. ბ. არვანიძე, 11—1 ს.

გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუტორის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკის ექიმის დანიშნით.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7 1/2—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. დარბაზთა უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардиана. Тифлиси, противъ памят. Воронцову.

მკურნალი მიხეილ გადევიანი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

ახალი ამბავი

დღეს, 6 ნოემბერს, ქალაქის გამგებობაში საბჭოს კომისიის სხდომა ექმნება იმის შესახებ, ებატოთ თუ არა სახლის პატრონებს დაფასების შეუტანელი გარდასახადი.

მთავრობას ნება დაურთავს რკინის გზის სადგურებზედ შეკვეთილი კორესპონდენციები (заказная корреспонденция) მიიღონ ხოლმე გასაგზავნად.

კიევის უნივერსიტეტში საბჭოს შესაძლებელად უცვნია მომავალ საშუალო სასწავლებლებიდან ყველანი მიიღოს ხოლმე და ლათინურს ენაში გამოკლა მოსთხოვოს.

შუამდგომლობა აღუძრავთ, ამ წლის დამლევს ყველა სასწავლებლის ფიზიკის მასწავლებლების კრება მოახდინონ.

ავტოლის სადგურიდან იუწყებიან, რომ 3 ნოემბერს საქონლის მატარებლის № 141 სადგურიდან დაძვრის დროს ვილაკ უცნობს კაცს ნავთის ქვაბზედ შეტემა სდომებია, ამ დროს ქვეშ მოჰყოლია და მატარებელს გაუსრესნია.

ლაბარაკია აღძრული საბეითალო მეთვალყურეობა ძირითადად შესცვალონ მთელს იმპერიაში.

სახელმწიფო საბჭოს შესაძლებელად უცვნია ჯერ ჯერობით ცვლილება შემორღოს მხოლოდ რუსეთის 49 გუბერნიაში, რომლებიც დღეს საერთო საგუბერნიო დაწესებულებებით განაგებენ მართვა-გამგებობის საქმესა.

როგორც პეტერბურგიდან იუწყებიან დეპუტთ, ტფილისის საკანტროლო პალატის გამგეთ შტერბერი დაუნიშნიათ.

როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, საშუალო სასწავლებლების მშობლიურ ისტორიის მასწავლებლებმა დაბალსკლასებში ამ წლის დამლევს მთელი კურსი თავისის საგნისა ოლქის მთავრობას თურმე უნდა წარუდგინონ, რომ გამოარკვიონ როგორ უნდა იქმნეს ეს ახალი საგანი შესწავლილი.

განზრახვა აქვთ, შორის მანდილის რკინის გზის მატარებლებში განსაკუთრებული საბანგებელი ვაგონები შემოიღონ.

კავკასიის გამოფენის თავგასართობ წარმოდგენათა ამხანაგობას 1-ლ ნოემბრამდე 10,00 მან. ზარალი მოჰსვლია.

რედაქციამ მიიღო მე-11 ნომერი ჟურნალის „Кавказский Вѣстник“-ისა. სხვათა შორის ამ წიგნში მოთავსებულია ბ-ნ რომანოვსკის წერილი, „სწავლა-განალებების საქმის განვითარება კავკასიაში და უწინდელ საქართველოში“; ფრანგულიდან თარგმნილი ლანგლუას წერილი—მოკლე ისტორია სომხეთისა და იმის ლიტერატურისა და სხვანი.

როგორც შორაპნიდან იუწყებიან, 2 ნოემბერს, ჰიათურის შტოს მე-42 ვერსხედ, მუშა მუშაობა გაუფთხილებლობისა გამო ხის მორ ქვეშ მოჰყოლია და ფენი დაუშვებია.

ქართვალთა შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოების წლიური კრება.

გუშინ წინ, 4 ნოემბერს, მოხდა წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა კრების გაგრძელება, თავ. ი. გ. ქავჭავაძის თამჯდომარეობით. როგორც წასულ კვირას, ამ სხდომასაც მრავალი წევრი და გარეშე ხალხი დაესწრო. დაწყებისთანავე კრებამ თავმჯდომარის წინადადებით ფენხედ აღგომით პატევი სკა განსვენებულის რაფ. ერისთავის სახელს; შემდეგ შეუდგნენ ამა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას.

გამგებობის ანგარიშით საზოგადოებას ამ წლის განმავლობაში ხარჯი ექნება სულ 17,100 მან. ხარჯთაღრიცხვის განხილვამ დიდხანს გასტანა. ბევრმა განაცხადა, რომ ეს წელიწადი უკვე გათავდა და ეს ხარჯთაღრიცხვის განხილვას რაღა მნიშვნელობა აქვსო. თავ. გ. მაჩაბელი საზოგადოების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გამგებობა საქმიად არა ზრუნავს საზოგადოების უმთავრეს წყაროს—საწევრო ფულის შემოტანის შესახებ. მისის ანგარიშით, წელიწადში არა ნაკლებ 6,000 მან. უნდა შემოდიოდეს, გამგებობას-კი ხარჯთაღრიცხვაში 500 მან. უფარაუნდნია. დარწმუნებული ვარო, სთქვა თავ. მაჩაბელმა, თუ გამგებობა მოაგონებს წევრებს, ფულს უსათუოდ შემოიტანნო. ბ-ნი გ. დეკანოზიშვილიც მიემხრო მაჩაბლის მოსაზრებას და განაცხადა, გამგებობის მოქმედებას რომ კანცელიარული ხასიათი არა ჰქონდეს, მეტი საქმე გაკეთდებოდა. რა მიზეზია, რომ კრება მაისში არ შესდგა, რათა დროზე ეს ხარჯთაღრიცხვა განგვეხილაო.

ბ-ნმა მიქაბერიძემ უპასუხა, რომ მაშინ გამგებობამ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო ანგარიშის დაბეჭვდა ვერ მოასწრო, უანგარიშოდ-კი შეუძლებელი იყო კრების გამართვა. თავ. ილ. ქავჭავაძემ სთქვა, ჩვენ ხარჯთაღრიცხვაში საწევრო ფული ნავარაუდევია 500 მან. და თუ მეტი

შემოვა, უკეთესია, წევრებს კაცი გაუზღვანეთ საწევრო ფულის შესაკრებად, მაგრამ ამ კაცმა ბევრი ვერაფერი გააწყო. ბ-ნმა ხუდადოვა განაცხადა, რომ ოცი წელიწადია საზოგადოების წევრად ვარ და აქამდის ჩემთვის არავის მოუგონებია ფულის შემოტანა. ესლა, როცა შევიტყე საქმე, თვითონ მოველ და საწევრო ფული შემოვიტანე; დროზე რომ მოეგონებინათ, უთუოდ ფულს შემოვიტანდიო. გ. დეკანოზიშვილმა და ბ-ნმა სურგულაძემ ურჩიეს საზოგადოებას, რადგანაც საქმეები ძალიან გართულდა, ამიტომ, კარგი იქნება, გამგებობასთან დავაარსოთ განსაკუთრებული ორგანო და იმას მივანდოთ ფულის მოგროვების საქმეო. თ. ი. ქავჭავაძემ განაცხადა, კანონით ნება არ გვექნება ასეთის დაწესებულების დაარსებისაო. თ. აკაკი წერეთელმა სთქვა, საგანი უკვე გამოირკვა, ამ ხარჯთაღრიცხვის გარდა სხვა საქმეებიც გვაქვს და იმაზედ გადავიდეთო.

დიდი კამათი გამოიწვია ბ-ნ პ. სურგულაძის განცხადებამ ბათუმის სკოლაში მესამე მასწავლებლის გამწესების შესახებ. კამათის ამ საგნის გამო საღამოს 4 საათამდე გასტანა. გამოირკვა, რომ გამგებობას ფული არ მოეპოვება ამ საქმისათვის. ბ-ნმა რამიშვილმა განაცხადა, თუ გამგებობა მესამე მასწავლებლის დანიშნას დასთანხმდა, ადგილობრივი საზრუნველი კომიტეტი მასწავლებლის შესანახად წყაროს უუქველად აღმოაჩენსო.

ბ-ნმა გოგებაშვილმა შეცდომად აღიარა ბათუმში მასწავლებლისაგან დადგენილ რიცხვზედ მეტის მოსწავლეთა მიღება და განაცხადა, ესლა რაღა გაეწყობა, უსათუოდ მასწავლებელი უნდა მოვიწვიოთ, რამე წყარო გამოვნახოთ, ჩემის მხრით ამ საქმეს 200 მანეთს ვწირავო. საზოგადოება მადლობის ნიშნად ხანგრძლივს ტაშის ცემით მიეგება ბ-ნ გოგებაშვილის სიტყვას. კარგხანს კამათის შემდეგ კნქი უყარეს ამ წინადადებას. ამასთანავე დაასახელს გამგებობის წევრების კანდიდატები. ყუთი დაუდგეს: თავ. ილ. გ. ქავჭავაძეს (ამოუვიდა 79 თეთრი და 39 შავი), ნ. ზ. ცხვედაძეს (78 თ., 40 შ.), ი. ს. გოგებაშვილს (86 თ., 32 შ.), გ. გაბაშვილისას (55 თ., 63 შ.), ალ. ჯყონიას (57 თ., 61 შ.), ექ. თაყაიშვილს (75 თ., 43 შ.), დ. კარიჭაშვილს (79 თ., 39 შ.), ალ. სარიჯიშვილს (65 თ., 53 შ.), ი. რატიშვილს (67 თ., 51 შ.), ი. მიქაბერიძეს (58 თ., 60 შ.), ი. ზურაბიშვილს (52 თ., 66 შ.), გრ. ყიფშიძეს (50 თ., 68 შ.), ნ. ხიზანაშვილს (50 თ., 68 შ.), პ. სურგულაძეს (43 თ., 75 შ.), ი. დუღაძეს (71 თ., 47 შ.), ნიკ. ელი-

აგას (66 თ., 52 შ.), ივ. გ. გომართელს (68 თ., 50 შ.), ი. გომელაურს (52 თ., 67 შ.). ამ რიგად არჩეულ იქმნა თავმჯდომარედ ისევ თავ. ი. ქავჭავაძე, ხოლო წევრებად: ცხვედაძე, გოგებაშვილი, თაყაიშვილი, კარიჭაშვილი, სარაჯიშვილი, რატიშვილი, ი. ლულაძე, ელიაშვილი და გომართელი. ამოსარჩევი დარჩა სამი წევრი გამგებობისა და სამივე მათი კანდიდატი. სარჩევნიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ბ. ნ. ა. ს. ლულაძე (90 თ.), გოგიტიძე (81 თ.) და ვ. სულხანიშვილი (79 თ.).

77 ხმით 4 ხმის წინააღმდეგ გარდასწყვიტეს გადაიდოს საქირაო უფლებების მასწავლებლის გასამწესებლად ბათუმის სკოლაში. დანარჩენ წევრთა არჩევანი მოხდება მომავალ კვირას.

თეატრის მახინჯი

„ავადმყოფი ხალხი“, დრამა 2 მოქმედებად. თარგ. ვ. გუნიასი.

„ოქროსი ევა“, კომედია 3 მოქმედ., თარგ. ცაგარელისა.

„ოქროსი ევა“ ფარსისებრი კომედია აღმოჩნდა, მეტად მდაბალის ხარისხისა, თუმცა ავტორი ცდილა ჩაექსოვეთნა შიგ აზრი კუჭ-კალიერ რაინდ-გრაფების დაცინვისა, ოქროს ევას, ამ ხელისნის ქვირის, პატივ-მოყვარეობით აღზუნებისა და სხ. ეს აზრი ისე ტლანქად არის გატარებული პიესაში, რომ მის შესახებ ბაასის განგრძობა საქირად არ მიგვაჩნია.

ვიტყვით მხოლოდ, რომ პიესა ჩვენთა არტისტთა მიერ საუცხოოდ იყო წარმოდგენილი, მხოლოდ პიეტროს როლის აღმასრულებელი ბ. ნ.

იმედაშვილი უშლიდა ანსაბლს. ამ ახალგაზრდა არტისტისათვის მეტად რთული და ძნელი როლი მიეცათ და, რაღა საკვირველია, რომ იგი დაძლიებულ იქმნა ამ როლისაგან.

სულ სხვაა მეორე, ჩვენს სცენაზედ პირველად წარმოდგენილი პიესა, დრამა ჰაუბტმანისა, თუმცა იგიც გერმანიის ავტორის კალამს ეკუთვნის. იგი პსინოპატოლოგიურის შინაარსისაა და ისეთის სიმართლითა და ნიჭით არის დაწერილი, რომ აღამიანს შეაკრთობს, გულს შეუწყუბებს მისი მეტის-მეტად დაუფარავობა ცხოვრების სიდუხჭირისა.

ოჯახის უფროსი, დოქტორი შოლცი ნერვებ აშლილი აღამიანია. მას სულს უხუთავს სენი გაზვიადებული ექვიანობისა და იმ შიშისა, რომ მდევნიანო. ეს სენი უწყალობს სიცოცხლეს, ეს სენივე უშამავს ცხოვრებას მის ცოლსა და შვილებს, რომელთაც მისგან მემკვიდრეობით გამოჰყოლიათ დანუღრეული ნერვები, თუ ასე ითქმის, სიანჩხლე და სიკაპასე. უბედურება ის არის, რომ ყველა ეს ავადმყოფი პგრძნობენ თავის სნეულებას, უნდა ერთმანეთს სულთერადაც დაუნათესავდნენ და დაუახლოვდნენ ხორციელად ნათესავნი, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ და ობოლნი და სნეულნი სულთერად ობლაღვე შთებიან.

მთელი ოჯახობა — დოქტორი შოლცი (ბ. ნ. ყიფიანი), შვილნი მისნი ავეუსტა (ქ. ნ. კარგარელი), რობერტი (ბ. ნ. ალ. მესხიშვილი) და ვილჰელმი (ბ. ნ. გუნია), უბედურნი მსხვერპლნი არიან ბუნების კანონისა—მშობელთა სენის შვილებზედ მემკვიდრეობით გადასულისა და მათი ერთად ნახვა სცენაზედ

საზარელს სურათს წარმოადგენს. პიესა ჩვენთა არტისტებმა ისე საუცხოოდ წარმოდგინეს, რომ მაყურებელნი შეიპყრო ილიუზიამ სინამდვილისა და ბევრს დაავიწყდა, რომ თეატრში იყო და ყოველსავე ამას არტისტები არდგენდნენ. ასეთის ანსამბლით წარმოდგენილი პიესა ჩვენს სცენაზედ იშვიათად გვიჩნახავს. განსაკუთრებით კარგი იყო ბ. ნ. მესხიშვილი, რომელმაც მართლაც დიდის ნიჭით დაგვიყენა თვალწინ რობერტის ავადმყოფ სულის კვეთება.

დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ მთარგმნელს ტყუილად უწოდებია ამ პიესისათვის „ავადმყოფი ხალხი“, რადგან „ხალხი“ აქ არაფერს შუაშია; უნდა დაერქვია „ავადმყოფნი“ და იგი სრულიად გამოსტკეპმა შინაარსს. მობენფენის საზოგადოება თანაგრძნობით მიეგება და რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

მანოელიძე.

სასოფლო მეურნეობა.

კავკასიის სასოფლო მეურნეობის გამოფენაზე მოწვეულ სხვადასხვა დარგის სამეურნეო კრებებმა დაასრულეს თავიანთი სხდომები.

არ დარჩენილა არც ერთი დარგი სასოფლო მეურნეობისა, რომლისათვისაც კალკე კრება არ ყოფილიყოს დანიშნული და ყოველს კრებას რამდენიმე მრავალ-მეტყველიანი სხდომები არ გაემართოს.

გარდა ერობის შემოღების თხოვნისა, ყველაფერი ის, რაც ამ სხდომებზე წარმოითქვა და კრებებზედ ოქმებით დადგენილ იქნა რომ განხორციელდეს—ჩვენ პატა-

რა ქვეყნის ეკონომიურს მდგომარეობას ბევრი რამ საწაღმართო ფაქტორი გაუჩინებოდა, მაგრამ ვეჭვობთ, რომ მაშინაც რამე შევლენოდა ჩვენს აწინდელს დაქვეითებულს ეკონომიურს ყოფას არსებითად.

ვაშობთ ამას იმიტომ, რომ ერობის შემოღების გარდა, სხვა ყველა დანარჩენი ღონისძიებანი, რომელთა შემოღებითაც ჰვიჭობენ ჩვენს მხრის შველას—სამეურნეო, საპროფესიო და სხვ. სკოლები, ინსტრუქტორები, ლექციები და სხვ., ფრიად სასურველნი და ერთობ საჭირო დაწესებულებანი, მხოლოდ პალიატივია იმ დიდის სენისაგან ერის გამოსაჯანმრთლებლად, რომელსაც ეკონომიური დაქვეითება ჰქვია.

თავი და თავი მიზეზები ჩვენის ეკონომიურად დაქვეითებისა არის სამი რამ.

ერთი არის ისეთი რამ, რომელიც ყველა გონიერმა უჩვენოთაც უწყის.

მეორე მიზეზი განხლავთ ის, რომ საზოგადოდ განათლება სუსტად გავრცელებულია ჩვენში.

მესამე მიზეზი კიდევ ის არის, რომ საზოგადოებრივ თაოსნობას ჩვენში მხარ-ფები გაყინული აქვს და ასპარეზი მოსპობილი.

რა რიგად უნდა გამოვიდეს ერი დაქვეითებულ ეკონომიურ მდგომარეობიდან, როცა მას არა აქვს განათლება და საზოგადოებრივი თაოსნობა?

მიეცით ხალხს განათლება და გაუხსენით გზა საზოგადოებრივ თაოსნობას, და ის თავის-თავად გაიკვლევს გზას თავის ეკონომიურ მდგომარეობის და ყო-

ველ გვარ კულტურის განვითარებისაკენ...

პრინციპილურად ამის წინააღმდეგი არავინ არ არის, არც „მოსკოვის უწყებები“, მაგრამ უკულმართობის გზაზე დამდგარნი მქადაგებლნი, რომელთაც არაფრად ეპიტნავენათ საზოგადოებრივ თაოსნობის აღორძინება, სკდილობენ პირველ ფაქტორის უქონლობით უარსკუნ მეორესთვის გზის გახსნის საქარება და გაიძახიან, უსწავდიელ კაცთა კრებული საზოგადოებრივ თაოსნობას თავბოლოს ვერ გაუგებს, ბოროტად მოიხმარსო.

ჯერ განათლება გავავრცელოთ ხალხში და მერე მივსცეთ მას საზოგადო თაოსნობის გამორჩენის ღონისძიება...

უცხოეთი

ავსტრი. უნგრეთი. „Temps“-ის სიტყვით, გერმანელ დეპუტატს ბერნრეიტერს საბიუჯეტო კომისიაში წინადადება შეუტანია დროს მოსაგებად 1901 და 1902 წლების ბიუჯეტის ერთად განხილვის შესახებ. ჩებს კრამარუს კონტრ-წინადადება შეუტანია, ჯერ 1898, 1899 და 1900 წლების ბიუჯეტები განვიხილოთ, რომლებიც მე-14-ე პარაგრაფის ძალით იქმნენ მიღებული და შემდეგ კალ-კალკე 901 და 1902 წლების ბიუჯეტით. დიდის ხნის კამათის შემდეგ ბერნრეიტერის წინადადება მიიღეს. როგორც გამოიკვია, მლაღოჩებები სკდილობენ, რაც შეიძლება გააქიანურონ და შეაფერხონ ბიუჯეტის დამტკიცება. — ინსტრუქციი სტუდენტები ისევ

ფალესონი

სიმღერა პირანის ბაშო.

(თომას ჰელისა)
ვაი საბრალო მკერვალ-ქალს, უგულოდ მოსაქნარსა!.. დღიური საზრდოს მდევარი, სხვისთვის ჰღვრის ოფლსა მწარესა.

გამოხვეულსა ძონძებში, ხელები გაშეშებია; წამობუშტვია თვალები, თითებიც დაბრუშებია.

ნევსა და ძაფსა ძლივს იქერს, მაგრამ ვერ აგდებს ხელ-საქნარს; ნერწყვის ჰყლაპავს, ყელში იბრუნებს ბოლმად მოწოლილ ნალველ-ძმარს.

და თავის გასამხნეველად მაინც დამღერის საკერავს. დიღინებს კენესა-ოხვრითა, თან ჰკერავს, ჰკერავს და ჰკერავს...

მით თავს იტყუებს, რომ შერჩეს კოტა სიმხნე და ძალაცა; თუმცა კი იცის, რომ ისევ ეს დღე მოვლის ხვალაცა.

იმღერის: „სხვისა პერანგო, ჩემო ნალამბო-ნაკერო, ჩემი ცხოვრების სახსარო, თავს რომ გვევლები აგერო.

„წადი უთხარი შენს პატრონს,

რაც კი ჩემ ხელში გინახავს და რასაც სვე-ბედნიერი სიზმრათაც ვერ დაისახავს!

„უამბე“ ღარიბ-ოჯახში მუშა ქალი ზის მზე ბნელი; შიშველი, მშიერ-წყურვალი, დღიური ლუქმის მძებნელი.

ათენ-ალამებს შრომაში!.. ვაი მისთანა საქნარსა!.. ზაფხულში ჰნატრობს გრილ ჰაერს, ზამთარში ოთახს გამთბარსა!

არც მზეა მისთვის, არც მთვარე, არც ყვავილები ველისა; სულ მარად შრომა და ტანჯვა... და აღარც იმედს ელისა!

ნატრობს ამაებს სუყველას ვით ციურ ნეტარებასა!.. მაგრამ სად არის გამგონე, ვინ უსმენს აღსარებასა?

რა სიცოცხლეა სიცოცხლე ამდენი ტანჯვა-წვადებით? ზედ დაშტერება საკერავის, გამოღამება თვალების,

შრომას რომ ჩილა-ბზის ფასად უთმობს ცოცხალსა და მკვდარსა? ცოცხლებს უკერავს სამოსელს და მკვდრებს უშხადებს სუღარსა!

მაგრამ როგორც მკვდარს, ცოცხალსაც არ ესმის, არ ეყურება, თუ რად და რამდენად უღირს საწყალ ქალს ეს მსახურება?

სიკვდილი უჯობს სიცოცხლეს და მასაც ვერ ღირსებია!.. ტირილი უნდა.. ცრემლებით თვალები ამომსებია;

მაგრამ ვერ ბედავს, ვაი თუ დაეცეს ხელ საქნარსა!.. სიფრთხილით იშრობს იმ ცრემლებს და ატანს ოხვრის ქარსა.

და მხოლოდ სიივის: რად არის სისხლ-ხორცის ფასად პურიო და ჩაღის ფასად საწყადების შრომა და სამსახური?!“

ასე დამღერის პერანგსა... ჯოჯოხეთია კილოში! ჰკერავს მაინც და სულ ჰკერავს და ნევსს აცურავებს ტილოში.

ვაი საბრალო მკერვალ-ქალს უსუსტრად მოსაქნარსა! დღიური ლუქმის მდევარი, სხვისთვის ჰღვრის ოფლსა მწარესა.

წერილები ინგლისიდან
წერილი მე-32.
(დასასრული *)

ეს წერილი უკვე მზადა მქონდა გამოსაგზავნად, როდესაც შაბათს (2 ნოემბერს) შუადღის გაზეთებში დაიბეჭდა ამბავი ინგლისის ჯარის ხელ-ახლად დამარცხების შესახებ ტრანსვალში. ბოერებმა თითქ-

*) იხ. „ივერია“ № 237.

მის მთლად განადგურეს ინგლისელთა ერთის საუკეთესო სარდლის ბენსონის ლაშქარი. მოჰკლეს თვით სარდალი, 12 აფიცერი და 240 ჯარის-კაცი.

გასაკვირველია სწორედ ინგლისელთა საქმე: ისტორიაა დამნაშავე, თუ მოხერხებული ტაქტიკა ბოერთა წინამძღოლებისა—ღმერთმა უწყის, მაგრამ ეს კია, რომ თან და თან აშკარადგება ინგლისის დღევანდელ მმართველთა, მეომართა და ადმინისტრატორთა პოლიტიკური გაიძვერაობა, ნიღაბ აფარებული მტარვალობა და სრული უნიჭობა.

ლორდ მილნერი და იმასთან ერთად მინისტრები და მებრძოლი პრესსა დიდის ამბით არწუმუნებდა ინგლისს, რომ ერთისთვის განმავლობაში 50 ათასი კაცით და 11-დგან 30 მილიონამდე გირვანქა სტერლინგით გავფანტავთ და გავანადგურებთ გლეხთა ბრბოებსაო. ასე ამბობდნენ, მაგრამ მოულოდნელად დამარცხება დამარცხებას მოჰყვა, უბედურება უბედურებას. პატარა მიწად-მოქმედ ერის წინააღმდეგ ინგლისის დასჭირდა უზარმაზარის ჯარის გაყვანა და იმდენის ფულის დახარჯვა, რაც საკმაო იქნებოდა ტრანსვალის ტოლა ქვეყნის სასყიდლად.**)

*) 1902 წლის პირველ იანვრისათვის საერთო ხარჯი 260—275 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე ავა. ამ ფულით, თუ თითო ოჯახისათვის 260 გირვანქას ჩავადებთ, შესაძლებელი იყო სამ მილიონ მცხოვრებთან ახალშენის გაშენება, ე. ი.

მას შემდეგ, რაც ლორდმა რობერტსმა 1900 წლის ზაფხულს გამოაცხადა, რომ ომი გათავდაო, ინგლისელებს დამარცხება დამარცხებაზედ ატყდებოთ თავს; კვირა არ გადის ისევ, რომ ზარბაზნები არ დაჰკარგონ, იმათი ჯარის-კაცები ტყვედ არ წაიყვანონ. ასეთივე ამბავი მოხდა წარსულ სექტემბერსაც: გამოაქვეყნა თუ რა ლორდმა კიტჩენერმა ჩემ-ბერლენ-სალისბიურის პროკლამაცია წინამძღოლთა განდევნისა, უდანაშაულოთა ჩამოხრჩობისა და დახვერცის შესახებ, მოერებმა განადგურეს ინგლისის ლაშქარი იტალიასთან და ხელთ ჩაიგდეს ზარბაზნები და სურსათი. ეს-ლაც, იმ დროს, როდესაც ჩემბერლენი შოტლანდიაში, ხოლო მილნერი ნატლში გაიძახიან, რომ ომი თავის-თავად ჩაქრება, თითქმის ჩაქრა კიდევცაო, მოულოდნელად მოვიდა საოცარი ამბავი პოლკოვნიკის ბენსონის მთელის ლაშქრის ამოუღეტისა!.. და ყოველივე ეს ჩაიღინა მოუსვენარმა და ინგლისელების მიერ მოძულეებულმა ბოტამ, რომელიც ერთის კვირის წინად სა-მინისტროს მიერ დამარცხებულად იქმნა აღიარებული.

ამ ამბის შემდეგ დაფიქრდნენ და კილო გამოიცვალეს როგორც სამინისტრომ, ისე ზოერების ამომე-

ცვალბუღონი; მოახდინეს დეზინფექცია; ვინც კი ამ სახლებში სცხოვრობდა, ყველანი ექიმებს ჩააბარეს; ქალაქში და ქალაქის განაპირა ადგილებში სანიტარული საშუალება მიღებული, რომ სენის გავრცელება მოსპონ.

უმაღლესად დამტკიცებულმა კომისიამ განიხილა ყველა სანიტარული წესი, რომელიც ამ შემთხვევისათვის მიღებულია და დაადგინა: 1) ქალაქ ოდესაში მიღებული წესები იცნოს საკმარისად და შესაფერისად; 2) ყოველი გემი, რომელიც ოდესიდან გადის და რომელიც შავის ზღვის ნავთსადგურებში მიდის, უთუოდ უნდა ექიმებმა დაადავალა; 3) რკინის გზის წამსვლელებიც უნდა სანიტარულ ზედამხედველობის ქვეშ იქმნენ; 4) შავ ზღვაში მოსიარულე გემების პატრონები მოვალენი არიან ყოველ გემზე საკუთარი ექიმი მიიწვიონ და ეს ექიმები უნდა იქმნენ დამტკიცებულნი იმ ადგილის მთავრობისაგან, სადაც გემია მიწვეული; 5) დროებით აკრძალულია შემდეგის საქონლის ოდესიდან გაზიდვა: ა) თეთრეულისა, ტანთ-საცმელისა და ძველის ტანისამოსისა, სახმარის ნივთებისა, რომელიც ხმარებაში ყოფილა, ლოჯინი; ბ) მხვრებისა და ძონძებისა, აგრეთვე ისეთის მხვრებისა, რომელიც შეკრული იგზავნება საქონლის მსგავსად; გ) ძველის ტომრებისა, ხალიჩებისა და ნახმარის ნაქარვისა; დ) ახალი ტყავისა, ბეწვეულისა, უბრალო ტყავისა; ე) საკლავის გადანარჩენისა, პრეპარატებისა, ჩლიქებისა, ბალანისა, მატყლისა და აბრეშუმისა; ვ) თმისა, ძველის ტომრები, მხოლოდ მაშინ გაიტანება ოდესიდან, ისიც ხმელეთით, თუ გრადონაჩაღნიკის რწმუნებული დამტკიცებს, რომ წასადებ ტომრებს დეზინფექცია უყვეს. გუბერნატორებსა და გრადონაჩაღნიკებს დაევალიათ, თვალყუთი ადევნონ და თავიანთ რაიონში არ შეატანონ ძველი ტომრები, თუ ზემო აღნიშნული მოწმობა არ ექმნება ტომრების პატრონებს. 26 ოქტომბერს შემდეგ, რაც უკანასკნელი ავადმყოფი გარდაიცვალა, ოდესაში აღარავინ გამხდარა ავად.

„პრავეტელსტვენი ვესტნიკ“-ში გამოცხადებული იყო უმაღლესად დამტკიცებული წესები იმის შესახებ, თუ რაგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ დამშეულ ადგილების მცხოვრებლებმა იმ მუშაობაში, რომელსაც გზათა და მიწად-მოქმედების სამინისტრონი განიზრახავენ. ამ ჟამად რკინის გზათა უწყება აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით გასაგზავნი მუშები იმ სამუშაოზედ, რომელსაც გზათა რეკონსტრუქციის უწყებანი გამართავენ უმაღლესად დამტკიცებულის წესების თანახმად, რკინის გზებზე შემცირებულის ფასით უნდა წაიყვანონ, ე. ი. მესამე კლასის ბილეთის მეოთხედი ფასი უნდა გამოართვან. ამ შემთხვევაში სამუშაოდ წამსვლელებმა უთუოდ უნდა წარმოადგინოს ადგილობრივ საერო უფროსისა ან შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებულ მოხელის მოწმობა.

3 ნოემბერს გარდაიცვალა აკა-

დემიკოსი კონსტანტინე სტეფანეს ძე ვესელოვსკი.

კიევი. იმის გამო, რომ ოდესაში ორი კაცი გარდაიცვალა საექვოსენისაგან, კიევის გუბერნატორმა შემდეგი განცხადება გაუგზავნა დასაბუთებლად ადგილობრივ განეთებს: „კიევის გუბერნატორმა 31 ოქტომბერს მოახდინა კრება, რათა მიღებულ იქმნა ღონისძიებანი კიევში შავის ჭირის გაჩენის წინააღმდეგ. კრებაზე შემუშავდა შემდეგი ღონისძიებანი: 1) სასტუმროების პატრონებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მორიგ ექიმებს, თუ სასტუმროში ვინმე ავად გახდა; 2) ყველა ექიმი ვალდებულია გამოაცხადოს, თუ საექვო ავადმყოფი გაუჩნდა; 3) მიღებულ იქმნას სანიტარული ღონისძიებანი ეზოებისა, სასტუმროებისა და სხვა ამგვარ ადგილების გასასუფთავებლად (სხვათა შორის აღძრულია საკითხი თაგვებისა და ვირთაგვების ამოწვევის შესახებ); 4) ვისაც ჯერ არს, მას წინადადება მიეცა მოსძებნოს სადგომი, სადაც საექვო ავადმყოფებს დააწვენენ; გამოწერილ უნდა იქმნას შავის ჭირის საწინააღმდეგო სითხე; ქალაქი უნდა დაიყოს რამდენიმე სექციო ნაწილად და დაინიშნოს ზედამხედველები. კომისიამ საჭიროდ სცნო წინდაწინგე მოიწვიოს საკმაო რიცხვი ექიმებისა. ჯამაგირი უნდა დაენიშნოს თვეში: ექიმს—500 მან, ფელდშერს—300 მან. და მსახურს—100 მან.“

5 ნოემბერი.

სეპასტოპოლი. შავის ჭირის წინააღმდეგ აკრამ მკურნალების ბერშადსკისა და კარპოვის, ფერშლისა და ორის ჯარისკაცის ჯანმრთელობას ცვლილება არ დაატყობა.

ალშირი. ნაღმიან გემის № 74 20 ზღვაოსნისაგან ლამით 10 კაცი გაიპარა. გაქცევა შენიშნეს მაშინ, როდესაც გემი უკვე წასვლას ემზადებოდა.

ბაზა. გეტლოს ცახე-დარბაზიდან დაბრუნებულმა დედოფალმადამ აცნობა გოკუალზედ მყოფთ, რომ დედოფლის ჯანმრთელობას თანდათან უკეთობა ეტყობა.

ბერლინი. „Berliner Neuesten Nachrichten“ იუწყებიან ნამდვილი წყაროდან, ტყუილია ის ამბავი, ვითომ დელაგოას ყურეს სამაგიეროდ, რომელიც ანგლისმა დაიჭრა, ინგლისს თანხმობა განეცხადებინოს გერმანიას ზანზიბარი დაუთმოსო.

ნიუ-ორკი. ჩრდილო ცენტრალურ რკინის გზის მატარებლის აფეთქება განიზრახეს. გარმსბურსა და ბალტიმორას შუა სამი ვაგონი ლიანდაგიდან გადაადგეს. ბოროტ განმზრახველთ უთუოდ ფულის წაღება უნდადა.

პეკინი. იმპერატორ-რეგენტის დაბადების დღეს 7 ნოემბერს ილდესასწაულდებნ კაიფინში. შემდეგ აქედან საით წავლენ, ეს არ იცინ. ხვალ კაიფინში პრინცს ცუნს მიეღიან.

კოპენჰაგენი. დრაფუნთა მე-45 სევერსკი რაზმის დეპუტაცია ჩამოვიდა. რომ ორასის წლის შესრულებისა გამო, რაც რაზმი არსებობს თავისი შეფის დანიის მეფეს მიულოცონ.

მოსკოვი. საერო განათლების მინისტრი უნივერსიტეტის გამგეობის სხდომას დაესწრო. 5 ნოემბერს მინისტრმა სტუდენტთა დეპუტაცია

მიიღო, დიდხანს ესაუბრა და გამოკითხა ყოველივე გაქირვება.

საფეიქრო-საქსოვმა სკოლამ მოქმედება დღეს დაიწყო.

მარშავა. 3 ნოემბერს, სოსნოვისა და ზომბოვიცის შუა, მატარებელს ბენზინიან ბოთლისაგან ცეცხლი გაუჩნდა. 30 ქვანახშირის მალარების მუშისაგან სამი დაიწვა, 11 მძიმედ დაშავდა. დაიწვა აგრეთვე შემდეგი ვაგონიც. ცეცხლი სულ 8 წამს ეკიდა.

იალტა. სახაზრო ტყეებს იაილიდგან უჩანსუს ჩაბრიალამდე ცეცხლი უკიდა. ქარიზხალმა ცეცხლი მეტად გააძლიერა.

პარიში. გუშინ აკურთხა რუსეთის საელჩოს სამღვდლოებამ ბრინჯაოს მოდელი ბოლგარიის განმთავისუფლებელის იმპერატორის აღექსანდრე II ძველისა, რომელიც ბოლგარიის მთავარმა შეუკვეთა. ძველი წარმოდგენს: იმპერატორის აღექსანდრე II ბოლგარიაში მიბრძანებას, რომელსაც თან ახლავან: მეგვიდრე, შემდეგ იმპერატორი აღექსანდრე III, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, გენერლები სკობელევი, გურკო დიგნატიევი. ძველს წინიდან აწერია: „განმთავისუფლებელ მეფის შვილის-შვილის ნიკოლოზ II, ს მადლობელი ბოლგარია“. მალე ბოლგარიის დეპუტაცია პეტერბურგს წავა.

კონსტანტინეპოლი. საიდ-ფაშა დიდ ვეზირათ იქმნა დამტკიცებული.

სოფია. საერო კრება. ადრესის პროექტი მეორედ წაითხვის შემდეგ ხმის უმეტესობით წინააღმდეგ სტილიოვის მომხრეების მიღებულ იქმნა. გარეშე საქმეთა მინისტრმა დანხემა განაცხადა—არ შემიძლიან სესხის თაობაზედ ვსთქვა რამე, რადგანაც მოლაპარაკება ამ საგნის შესახებ ჯერ გათავებული არ არისო. მინისტრის სიტყვით, ბოლგარიის ყველა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი რუსეთთანა და რუმინიასთან, კეთილი განწყობილება აქვს. მინისტრი აღნიშნავს შემდეგ იმას, რომ სერბიასთანაც მეგობრული დამოკიდებულება აქვს და დასძენს, რომ ოსმალეთთან დამოკიდებულება არაფრით შეცვლილა; ამ საგანს იმ დრომდის არა ეშველება—რა სანამ მაკედონიის საქმე არ გარდასწყდებაო. „ბერლინის ტრაქტატი რომ შესრულდებოდეს, მაკედონელთა კამიტეტები თავის თავად მოისპობოდნენო“.

სოფელ-დღიური საზირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდან ბათუმში:

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დღის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 9 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩავა დღის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ბათუმში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარსკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბათუმში ჩადის დღის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დღის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბათუმში ჩადის დღის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბათუმში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდან პარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმშიდან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 დღის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დღის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბათუმშიდან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დღის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 დღის 12 ს. 21 წ. (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დღის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 დღის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

პარსიდან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

გ ა ნ ც ხ ა დ ე მ ა მ ა რ ი

უმაღლესი კომისია

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა, წესდების მე-91-ის ძალით, აცხადებს დასახლებულ ბანკის რწმუნებულთა საყურადღებოდ, რომ 10 დეკემბერს ამა 1901 წლისას, დღის 10 საათზედ, ტფილისს, ბანკის სადგომში, დანიშნულია თავად აზნაურთა საბანკო კრება, რომელსაც მოსხმდება განსხილველად შემდგომი საქმეები:

1, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლების გამოცემა იმ უფლებით, როგორც საკრედიტო საზოგადოებებს აქვთ.


2, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლების მიღება პირვანდელ ფასად სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში დაგირავებულ მასულების გაბათილებისა და დასახლებულ ბანკში გადატანის დროს.

3, მოხსენება ფინანსთა მინისტრის იმის შესახებ, რომ განმარტებულ იქმნას აზრი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წესდების მე-104 წ-ისა.

შენიშვნა. რწმუნებულთა კრება შესდგება, რამდენი რწმუნებულნიც უნდა გამოცხადდეს.

(3—5.—2)

პასივიკაჟუ კართვალ საზოგადოებას



გაქვს პატრი ვაწყუო რომ ამ დღებში ჩვენმა საზოგადოებამ საზღვარ-გარეთიდან მიიღო მრავალი ტყლისა და ფეხის საკრავი მაშინა სხვა-და-სხვა ფაბრიკის. ეწინააღმდეგეთა რა პირიანად ჰყ დღის სხვა რა-სხვა სისტემის ნაწილებისა ამასთან მიიღველს დევიდო მაშინა მომეტებულ პროცენტით, ვიდრე სხვა ყან სად ტფილისში რისთვისაც ყველა მაშინის შეძენის მსურველ ვინაზეთ მომხანდეს და დამწმუნდეს სინამდვილეში ფირმის წარმომადგენელი

გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილი და დიმიტრი დავითის ძე ჯგუზაძე.

ადრესი: სიონის ქუჩა, მისურაძის და ხოჯაფარუზოვის ქარვასლა, № მალაზიისა 5 და 53.

ტელეგრაფის ადრესი: ტფილისი, ლაზარევი და ჯგუზაძე, ტელეფონი 751

(25—16.—17)

განმარტება საათთაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობის გამგეობისაგან.

ხშირად გვეკითხებიან, პირად თუ წერილით: „ზარმა-ცხვების ბარდა“ სხვებსაც შეუძლიანთ წვერებად ჩაწერა თუ არაო; ან კიდევ: „ქალებს“ მიიღებთ წვერად თუ არაო?

პასუხად ამ კითხვებისა ვაცხადებთ, რომ ფარმაცევტებმა მხოლოდ დავაარსეთ ეს ამხანაგობა, **წვერებად-კი ყველანი მიიღებენ განუზრკვლად სქვისა.**

პაი დირს ხუთი თუშანი. მსურველს შეუძლიან პაის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს წლის განმავლობაში. ამხანაგობის დეპო და გამგეობა ამყოფება თბილისში, მუხრანთან ქუჩაზე, ალხაზაშვილის სახლში.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში. ადრესი ფოსტისა: Тифлиς, Товариществу Фармацевтовъ.

(10—5.—2)